მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
(ინგლისურენოვანი)

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / Teacher Training Educational Program

უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6 / ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამატებითი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013): 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით / 0114 Teacher Training with Subject Specialization

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არ ენიჭება

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა: უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 60 კრედიტი, მათ შორისაა:

- **სავალდებულო სასწავლო კურსებ**ი: 55 კრედიტი (მათ შორის სასკოლო პრაქტიკა - 10 კრედიტი);
- **არჩევითი** სასწავლო კურსი: 5 კრედიტი (შეთავაზებული 15 კრედიტიდან).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამის აღების საშუალება ეძლევა ინგლისური ფილოლოგიის ნებისმიერ სტუდენტს სურვილის შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ მიზანს და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამის მიზანია მოამზადოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური მასწავლებელები, რომელთაც გააჩნიათ თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ფართო ცოდნა და უნარ-ჩვევები; მასწავლებლებლები, რომელთაც შეუძლიათ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა - შეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს მათ წარმატებით დასაქმებას და კონკურენტუნარიანობას ქართულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

სწავლის შედეგები:

ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება	1. იცნობს, განასხვავებს და კრიტიკულად იაზრებს პიროვნების განვითარების და განათლების ძირითად თეორიებს და თანამედროვე ტენდენციებს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ჩარჩო დოკუმენტს და

	სასწავლო გეგმას, მდგრადი განვითარების მიზნებს და პრინციპებს და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას როგორც მოსწავლესა და შედეგზე ორინეტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვისათვის ასევე პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში. 2. იცნობს და განასხვავებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს, კლასის მართვის, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტურ სტრატეგიებს, კლასგარეშე საქმიანობის როლს და მნიშვნელობას მოსწავლეებისთვის მამოტივირებელი, კეთილგანწყობილი და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად; იცნობს და ასახელებს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორებს და აცნობიერებს მის მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში; 3. იცნობს, განმარტავს და განასხვავებს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, შეფასების ტიპებს, პრინციპებსა და მეთოდებს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით რომელიც მოიაზრებს შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება-შედგენას და ანალიზს. 4. ცნობს, განმარტავს და განასხვავებს პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებს, ფორმებს და გზებს; განათლების თანამედროვე ტენდენციებს და კვლევებს, კვლევის მეთოდოლოგიას და მეთოდებს, რომელიც აუცილებელია განათლების დარგში მცირე მასშტაბის კვლევის ჩასატარებლად;
უნარი	5. იყენებს პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიებს სწავლებისას; ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტების და მოსწავლეების ასაკობრივი და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს სასწავლო გეგმას და გეგმავს გაკვეთილს და ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და საბაზისო აკადემიური და სოცილურ-ემოციური უნარების განვითარებას. 6. შეარჩევს და იყენებს სწავლა-სწავლების, კლასის მართვის მრავალფეროვან სტრატეგიებს, მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს მოსწავლეთა ასაკობრივი, ინდივიდუალური საჭიროებების (მათ შორის სსსმ მოსწავლეების) და კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად; ადგენს კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს, კრიტიკულად აანალიზებს მათ შესაბამისი

	რეაგირებისთვის და ამყარებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან მათი პრევენციის და მოგვარების მიზნით; 7. შეარჩევს და მიზნობრივად იყენებს მოსწავლეთა შეფასების მეთოდებს მოსწავლეების მიღწევების და პროგრესის შესაფასებლად; ადგენს შეფასების სქემებს და რუბრიკებს ობიექტური შეფასებისთვის, მოსწავლეების კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის;მოიძიებს, შეარჩევს და ქმნის დამხმარე ბეჭდურ და ICT რესურსებს ეროვნული სასწავლო გეგმის, კონკრეტული კლასის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით როგორც სწავლა-სწავლების ასევე შეფასების მიზნით; 8. მოიძიებს და იყენებს განათლების თანამედროვე კვლევებს და ტენდენციებს საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის, სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისთვის და დარგში მცირე ნაშრომის შესაქმნელად; შესაბამისი მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის შედეგად ახდენს საკუთარი პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზს, სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას და განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას;
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	9. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; 10. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზების და დროის მართვის უნარს.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის მიზნები	**სწავლის შედეგი 1**	**სწავლის შედეგი 2**	**სწავლის შედეგი 3**	**სწავლის შედეგი 4**	**სწავლის შედეგი 5**	**სწავლის შედეგი 6**	**სწავლის შედეგი 7**	**სწავლის შედეგი 8**	**სწავლის შედეგი 9**	**სწავლის შედეგი 10**
	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- ლექცია
- სემინარი
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა
- დამოუკიდებელი მუშაობა
- პრეზენტაცია
- დემონსტრირება
- ინდუქცია
- დედუქცია
- ანალიზი
- სინთეზი
- კრიტიკული აზროვნება
- შემთხვევების შესწავლა (case study)
- გონებრივი იერიში (brainstorming)
- დისკუსია / დებატები
- პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ)
- ჯგუფური მუშაობა

- ინდივიდუალური მუშაობა
- წყვილში მუშაობა
- წიგნზე მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა
- პროექტზე დაფუძნებული სწავლა
- შებრუნებული გაკვეთილი
- კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული სწავლება
- საშინაო დავალების შესრულება
- ელექტრონული საშუალებებით სწავლა
- ახსნა-განმარტების მეთოდი

სწავლა/სწავლების პროცესში სტუდენტები იღებენ **ინდივიდუალურ** ან **ჯგუფურ კონსულტაციას.**

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1. (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
2. (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
3. (C) კარგი – 71-80 ქულა;
4. (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
5. (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1. (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

2. (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი საგნის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

სწავლა-სწავლების პროცესის შეფასების ფორმები მრავალფეროვანია და ის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ზეპირი/წერითი გამოცდა
- ზეპირი/წერითი გამოკითხვა (სემინარი)
- საშინაო დავალება
- ტესტი ღია და დახურული კითხვებით, ონლაინ ტესტირება
- ქვიზი
- ესე
- საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა
- პრეზენტაცია
- შემთხვევის ანალიზი
- ინდივიდუალური/ჯგუფური/წყვილში პროექტი
- დისკუსია
- პრაქტიკა
- ფორთფოლიო
- კვლევითი ნაშრომი (სტატია)
- შუალედური და დასკვნითი გამოცდა.

შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი, კრიტიკული ანალიზის უნარი და არგუმენტების ლოგიკურობა.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

პროგრამით გათვალისწინებული 60 კრედიტი (1500 სთ.) გადანაწილებულია 3 აკადემიური წლის 6 სემესტრის განმავლობაში და საგნების შესწავლა იწყება მე-3 სემესტრიდან. თითოეულ სემესტრში კრედიტების გადანაწილება არის 5-10-15 კრედიტი. კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტებისა და ტრანსფერის სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. 16 კვირა (შუალედური გამოცდის ჩათვლით) ეთმობა ლექციებს. შუალედური გამოცდის შემდეგ კვირას ხდება შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა. დასკნითი გამოცდა ტარდება მე-17-18 კვირაში. VII და VIII სემესტრში სტუდენტი გადის სასკოლო პრაქტიკას (10 კრედიტი). ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს სტუდენტებისთვის *საკონსულტაციო საათებ*ს როგორც ჯგუფურს ასევე ინდივიდუალურს (იხ. სილაბუსები).

სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებში, როგორიცაა უნივერსიტეტის ყოველწლიური მულტიდისციპლინური საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია და საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე (IRCEELT). მათ აგრეთვე საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროგრამის სტუდენტების ინიციატივით ჩამოყალიბებულ კლუბურ აქტივობებში, რომელიც ფუნქციონირებს “Lingo Quest” კლუბის სახელწოდებით.

დასაქმების სფერო:

პროგრამის გავლა ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს დასაქმდნენ:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელად (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- არაფორმალური განათლების სექტორი;

სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კ რ ე დ ი ტ	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება			საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში
				I ს.წ.	II ს.წ.	III ს.წ.	IV ს.წ.	საკონტაქტო			

			ეზოსრავდენოზა	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	ლექციები/კონსულტაციები	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდა (ა/ეზი)	დასკვნითი გამოცდა	სულ კონტაქტი	დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები	
1.	შესავალი განათლების მეცნიერებაში	სავალდებულო	**4**			4						29	14	2	2	47	53	100	3
2.	შესავალი განათლების ფსიქოლოგიაში	სავალდებულო	**5**			5						14	29	2	2	47	78	125	3

3.	ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები	სავალდებულო	**4**			4						31	12	2	2	47	53	100	3
4.	კლასის მართვა	სავალდებულო	**4**				4					17	26	2	2	47	53	100	3
5.	შეფასების მეთოდები და პრინციპები	სავალდებულო	**4**				4					14	16	2	2	32	68	100	2
6.	ინგლისური ენის სწავლების მეთოდები და პრინციპები	სავალდებულო	**5**					5				23	20	2	2	47	78	125	3
7.	განათლების ტექნოლოგიები და მასალების შემუშავება	სავალდებულო	**4**					4				15	28	2	2	47	53	100	3
8.	სასწავლო პროცესის დაგეგმვა (TKT)	სავალდებულო	**5**						5			16	27	2	2	47	78	125	3
9.	კვლევის მეთოდები და ტენდენციები განათლებაში	სავალდებულო	**5**						5			22	23	-	-	45	80	125	3
10.	ინკლუზიური განათლება	სავალდებულო	**5**							5		19	26	2	2	47	78	125	3
11.	სასკოლო პრაქტიკა I	სავალდებულო	**5**							5		18	40	0	2	60	65	125	4
12.	სასკოლო პრაქტიკა II	სავალდებულო	**5**								5	18	40	0	2	60	65	125	4
13.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	არჩევითი	**5**				5					29	14	2	2	47	78	125	3

14.	ინტერკულტურული განათლება	არჩევითი	**5**					5				22	21	2	2	47	78	125	3
15.	შესავალი განათლების სოციოლოგიაში	არჩევითი	**5**						5			16	13	2	2	33	92	125	2
სულ			**60**			**13**	**13**	**9**	**10**	**10**	**5**	**303**	**339**	**24**	**24**	**700**	**1050**	**1750**	**45**

შენიშვნა: *არჩევითი საგნების სემესტრები მითითებულია პირობითად წინაპირობების დაცვით*

წინაპირობების ცხრილი

#	კურსის დასახელება	კრედიტი	წინაპირობა**				სემესტრი (რომელშიც ხორციელდება კურსი)
1.	შესავალი განათლების მეცნიერებაში	4	-	-	-	-	III
2.	შესავალი განათლების ფსიქოლოგიაში	5	-	-	-	-	III
3.	ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები	4	-	-	-	-	III
4.	კლასის მართვა	4	-	-	-	-	IV
5.	შეფასების მეთოდები და პრინციპები განათლებაში	4					IV
6.	ინგლისური ენის სწავლების მეთოდები და პრინციპები	5	-	-	-	-	V
7.	განათლების ტექნოლოგიები და მასალების შემუშავება	4	-	-	-	-	V
8.	სასწავლო პროცესის დაგეგმვა (TKT)	5	ინგლისური ენის სწავლების მეთოდები და პრინციპები	-	-	-	VI
9.	კვლევის მეთოდები და ტენდენციები განათლებაში	5	-	-	-	-	VI
10.	ინკლუზიური განათლება	5	შესავალი განათლების ფსიქოლოგიაში	-	-	-	VII

11.	სასკოლო პრაქტიკა I	5	წინა სემესტრების ყველა სავალდებულო კურსი	-	-	-	VII
12.	სასკოლო პრაქტიკა II	5	სასკოლო პრაქტიკა I	წინა სემესტრების ყველა სავალდებულო კურსი	-	-	VIII
13.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	5	-	-	-	-	IV
14.	შესავალი განათლების სოციოლოგიაში	5	შესავალი განათლების მეცნიერებაში	-	-	-	VI
15.	ინტერკულტურული განათლება	5	შესავალი განათლების მეცნიერებაში	-	-	-	V